

ბიბლიოთეკა–კოლეჯის ბიბლიოთეკის მუშაობა და მართვა

ბიბლიოთეკის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელია:

1. განისაზღვროს კოლეჯის ბიბლიოთეკის პოლიტიკა, გამოიკვეთოს ამოცანები, პრიორიტეტები კოლეჯის პროგრამების შესაბამისად;
2. ბიბლიოთეკის მთლიანი მუშაობა და მართვა აგებული უნდა იქნეს პროფესიული სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად;
3. საბიბლიოთეკო მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იქნეს კოლეჯის კოლექტივის თითოეული წევრისათვის,
4. კოლეჯის ბიბლიოთეკების ტიპიური დებულება

ზოგადი დებულება

1. კოლეჯის ბიბლიოთეკა სასწავლებელში აუცილებელი ქვეგანაყოფია, რომელსაც გააჩნია თავისი ფუნქციები და დადგენილი წესებითა და მეთოდებით ემსახურება მკითხველს.
2. კოლეჯის ბიბლიოთეკა იცავს სასწავლებლის შინაგანაწესის მოთხოვნებს, ექვემდებარება სასწავლებლის მიზნებსა და ამოცანებს.
3. მისი საქმიანობა განიხილება როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილი; იგი ხელმძღვანელობს კანონით „საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, კანონით „განათლების შესახებ“, კანონქვემდებარე აქტებითა და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციით საბიბლიოთეკო საქმის შესახებ.

ბიბლიოთეკის დანიშნულება და ამოცანები

4. კოლეჯის ბიბლიოთეკა სასწავლებელში წარმოადგენს საინფორმაციო მუშაობის ცენტრს,

ბიბლიოთეკის დანიშნულებას ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მოსწავლეთა საგანმანათლებლო-აღმზრდელობით საქმიანობას, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

5. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მკითხველებს საჭირო ლიტერატურით, ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიდრმაგონ სასწავლო პროცესში მოღებულ ცოდნას,
6. ბიბლიოთეკა მოვალეა დაეხმაროს მკითხველებს საჭირო მასალის შერჩევაში, მათ შეუფერხებლად მიღებაში, ინფორმაციის მოპოვებაში.
7. პედაგოგებთან ერთობლივი მუშაობით ქმნის პირობებს მოსწავლეთა კულტურულ-ესთეტიკური, ზნეობრივი და ეთიკური დონის ამაღლებისათვის. ხელს უწყობს განვითარებაში, პროფესიულ ორიენტაციაში.

8. ბიბლიოთეკა იცავს თავის ფონდს, აკომპლექტებს მისი ახალი პროფილური ლიტერატურით,
9. ბიბლიოთეკა ფონდის სისტემატიზაციას აწარმოებს შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით, პერიოდულად ეწევა მის გამონთავისუფლებას შინაარსობრივად მოძველებული და ფიზიკურად გაცვეთილი საბიბლიოთეკო დოკუმენტებისაგან,
10. ბიბლიოთეკა ახდენს ლიტერატურის სისტემატიზაციას საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის შესაბამისად, ადგენს ანბანურ და სისტემას. 11. ბიბლიოთეკა ემსახურება კოლეჯის მოსწავლეებს, პედაგოგებს კოლეჯის სხვა თანამშრომლებს.
- 12 ბიბლიოთეკა სისტემატურად ეწევა სხვადასხვა სახის სამუშაოებს პედაგოგებთან შეთანხმებით
13. ბიბლიოთეკარი პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის ფონდის ფორმატირებასა და მიზანშეწონილად გამოყენებაზე, მისი დაცვის უზრუნველყოფაზე. ბიბლიოთეკის საქმიანობას ბიბლიოთეკარი წარმართავს, რომელსაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
15. სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში ბიბლიოთეკართა სამტატო ერთეულების რაოდენობა განისაზღვრება განათლების სამინისტროს შესატყვისი ნორმატიული აქტის შესაბამისად.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები

1. ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ ბიბლიოთეკაში გაწევრიანებულ პირებს.
2. ბიბლიოთეკაში გაწევრიანების უფლება აქვთ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს, კოლეჯის

ადმინისტრაციულ, სასწავლო და დამხმარე პერსონალს;

3. კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება კოლეჯში სწავლის პერიოდში ერთხელ. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ერთხელ გაწევრიანდება სწავლების პერიოდში, რჩება ბიბლიოთეკის წევრად სწავლების მთელი პერიოდისათვის. პროფესიული სტუდენტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება უფასოა.

4. კოლეჯის ადმინისტრაციული, სასწავლო და დამხმარე პერსონალის ბიბლიოთეკაში გაწვევრიანება ხდება მათ მიერ შესაბამის თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში. კოლეჯის პერსონალისათვის ბიბლიოთეკაში გაწვევრიანება უფასოა.

5. წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში, ან ქსეროქსზე გადაიღოს მისთვის საჭირო ადგილები, თუ მთელი წიგნი. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლარის სახით.

6. ბიბლიოთეკიდან წიგნი გაიცემა ხუთი დღის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ მკითხველი ვალდებულია წიგნი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას. თუ მკითხველს წიგნი კვლავაც სჭირდება, მას შეუძლია ის ხელახლა გაიტანოს (ისევე ხუთი დღის ვადით), იმ შემთხვევაში, თუ კი წიგნზე არ შემოსულა სხვა განაცხადი. წიგნის გატანის ვადის გახანგრძლივება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

თუ წიგნის დაბრუნება ბიბლიოთეკაში არ მოხდა საჭირო დროს, აუცილებლად უნდა შეატყობინოთ ბიბლიოთეკას დროულად არ დაბრუნების მიზეზი. მიზეზის არასაკატიოდ ჩათვლის შემთხვევაში წიგნის გამტანი ვალდებულია დააბრუნოს წიგნი ორი დღის ვადაში, ორი დღის გადაცილების შემთხვევაში ყოველ გადაცილებულ დღეზე მკითხველი გადაიხდის ჯარიმას სამი ლარის ოდენობით.

7. წიგნის ან გატანილი მასალის დაკარგვის ან ისეთი დოზით დაზიანების შემთხვევაში, როდესაც მისი გამოყენება შეუძლებელია, წიგნის გამტანი ვალდებულია 2 დღის ვადაში ბიბლიოთეკაში მოიტანოს იგივე სახის წიგნი ან ანაზღაუროს გატანილი წიგნის/მასალის საფასურის ორმაგი ოდენობა კოლეჯის ფინანსურ სამსახურში ანგარიშწორებით.

8. ბიბლიოთეკის გამგეს შეუძლია მოითხოვოს წიგნის ან ბიბლიოთეკიდან გატანილი რომელიმე სხვა ნივთის (დისკის, ვიდეო-კასეტის) ვადაზე ადრე დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია წიგნი დააბრუნოს შეტყობინებიდან ერთი დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველი ჯარიმდება და გადაიხდის ჯარიმას – ყოველი გადაცდენილი დღისათვის – 3 ლარის ოდენობით. ბიბლიოთეკის თანამშრომელს აქვს უფლება განსაკუთრებულ შემთხვევებში, კოლეჯის დირექტორის თანხმობით აკრძალოს ან შეცვალოს ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის წესი, ან არ გაატანოს წიგნი იმ პირებს, რომლებიც შემჩნეულნი არიან წიგნის დაგვიანებით დაბრუნებაში.

ბიბლიოთეკით მოსარგებლე ვალდებულია:

ა) წიგნი სარგებლობის შემდეგ თვითნებურად არ დადოს თაროზე, ბიბლიოთეკის თანამშრომელი თვითონ დააბრუნებს მას ადგილზე;

ბ) წიგნის შენახვის სურვილის შემთხვევაში თხოვნით მიმართოს ბიბლიოთეკის თანამშრომელს;

დაუშვებელია:

ა) სადილობა ბიბლიოთეკაში; ნებადართულია მხოლოდ ბოთლში ჩამოსხმული წყლის ქონა.

ბიბლიოთეკაში სასტიკად აკრძალულია:

ა) მოწევა;

ბ) ხმაური და საუბარი;

გ) მობილური ტელეფონების გამოყენება;

დ) წიგნის არასწორად დადება, მისი დამალვის, ანუ სხვა პროფესიულ სტუდენტისათვის წიგნის გამოყენების ხელის შეშლის მიზნით;

ე) წიგნის ან სასწავლო მასალების ქურდობა, დაზიანება, დაფხაჭხა, ფურცლების ამოგლეჯა.

აღნიშნული წესებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ბიბლიოთეკა უფლებამოსილია დაუწესოს ბიბლიოთეკით სარგებლობის შეზღუდვა ასეთ მომხმარებელს და დააკისროს ჯარიმა, რომელსაც მომხმარებელი გადაიხდის კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ დაგენილი ტარიფის შესაბამისად (ტარიფი განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რა შედეგი მოჰყვა მომხმარებლის მიერ ზემოთ აღნიშნული წესების დარღვევას).